



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო



KA011763285236220

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

338530

22 / სექტემბერი / 2020 წ.

გადაწყვეტილება

ადმინისტრაციული საჩივრის წარმომბაში მიღების შესახებ

ადმინისტრაციული საჩივრის ნომერი: 362306/17. **თარიღი:** 20.09.2020 წ.

ადმინისტრაციული საჩივრის წარმომდგენი პირი: ელიზა ბახუტაშვილის (პირადი ნომერი 35001069531) წარმომადგენელი ნანა ცხვარიაშვილი (პირადი ნომერი 01027029667).

გასაჩივრებული გადაწყვეტილებების გამომცემი/ქმედებების განმახორციელებელი სტრუქტურული ქვედანაყოფის დასახელება: საჯარო რეესტრის ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის კახეთის რეგიონული ოფისი (შემდგომში - „კახეთის რეგიონული ოფისი“).

გასაჩივრებული გადაწყვეტილებები/ქმედებები: სარეგისტრაციო წარმოების მიმდინარეობის შესახებ №882020145461-03 (28.02.2020 წ.) გადაწყვეტილება, სარეგისტრაციო წარმოების განახლებაზე უარის თქმის შესახებ №882020145461-04 (30.03.2020 წ.) შეტყობინება, სარეგისტრაციო წარმოების მიმდინარეობის შესახებ № 882020145461-05 (30.03.2020 წ.) გადაწყვეტილება, სარეგისტრაციო წარმოების განახლების შესახებ № 882020145461-06 (02.04.2020 წ.) გადაწყვეტილება, სარეგისტრაციო წარმოების მიმდინარეობის შესახებ №882020145461-07 (02.04.2020 წ.) გადაწყვეტილება, სარეგისტრაციო წარმოების განახლებაზე უარის თქმის შესახებ №882020145461-08 (04.05.2020 წ.) შეტყობინება, სარეგისტრაციო წარმოების მიმდინარეობის შესახებ № 882020145461-09 (04.05.2020 წ.) გადაწყვეტილება, სარეგისტრაციო წარმოების მიმდინარეობის შესახებ №882020145461-11 (18.06.2020 წ.) გადაწყვეტილება, სარეგისტრაციო წარმოების განახლებაზე უარის თქმის შესახებ № 882020145461-12 (19.07.2020 წ.) შეტყობინება და სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ №882020145461-13 (19.07.2020 წ.) გადაწყვეტილება.

ადმინისტრაციული საჩივრის წარმომდგენი პირის მოთხოვნა: გასაჩივრებული გადაწყვეტილებების/ქმედებების ბათილად ცნობა და ცვლილების რეგისტრაცია.

უძრავი ნივთის მისამართი: ქალაქი წნორი, ფ. მოსულიშვილის ქ. №10.

ადმინისტრაციული საჩივრის შემომწმების შედეგად დადგინდა, რომ ის პასუხობს ადმინისტრაციული საჩივრის წარმომბაში მიღებისათვის კანონით გათვალისწინებულ პირობებს.

ამრიგად, სარეგისტრაციო წარმოების მიმდინარეობისა და სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში, შესწავლილ უნდა იქნეს ამ გადაწყვეტილებების კანონიერების საკითხი. რაც შეეხება გასაჩივრებული სარეგისტრაციო წარმოების განახლებაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინებებს, ისინი არ წარმოადგენენ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით დადგენილი წესით შედგენილ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს. ამდენად, ამ შეტყობინებების მიმართ არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 (არარა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი), მე-60¹ (აქტის ბათილად ცნობა) და 61-ე (აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება) მუხლები, არამედ შესწავლილ უნდა იქნეს სარეგისტრაციო სამსახურის ქმედებების მართებულობის საკითხი.

ამასთან, № 882020145461 (24.02.2020 წ.) სარეგისტრაციო წარმოებაზე მომზადებული 16.06.2020 წლის სიტუაციური ნახაზის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების პრინციპების დაცვით, ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული მხარის სტატუსით ჩაბმულ უნდა იქნენ: უძრავ ნივთზე (საკადასტრო კოდი 56.04.52.003) რეგისტრირებული მესაკუთრე - ნატო იმერლიშვილი (პირადი ნომერი 40001002410) და იპოთეკარი მაია კურტანიძე (პირადი ნომერი 25001040585).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის თანახმად, დაინტერესებული მხარე განმარტებულია, როგორც ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა, ხოლო მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ პირს უნდა ეცნობოს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და უზრუნველყოფილ იქნეს მისი მონაწილეობა საქმეში.


საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩააბას დაინტერესებული მხარე მისი მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში ვალდებულია უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების, სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის, რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს აღნიშნული გასაჩივრებული გადაწყვეტილებების მოქმედებას.

საჯარო რეესტრმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე, 182-ე, 195-ე მუხლების შესაბამისად,

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. მიღებულ იქნეს წარმოებაში ელიზა ბახუტაშვილის (პირადი ნომერი 35001069531) წარმომადგენლის ნანა ცხვარიაშვილის (პირადი ნომერი 01027029667) №362306/17 (20.09.2020 წ.) ადმინისტრაციული საჩივარი.
 2. ადმინისტრაციული საჩივარი გაეგზავნოს კახეთის რეგიონულ ოფისს.
 3. ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ პირად ჩაბმულ იქნენ: ნატო იმერლიშვილი (პირადი ნომერი 40001002410) და მაია კურტანიძე (პირადი ნომერი 25001040585).
 4. ადმინისტრაციული საჩივრის, №882020145461 (24.02.2020 წ.) სარეგისტრაციო განცხადებაზე წარდგენილი/დამატებით წარდგენილი დოკუმენტაციის/ინფორმაციისა და ამ სარეგისტრაციო წარმოებაზე მომზადებული 16.06.2020 წლის სიტუაციური ნახაზის ასლები (17 (ჩვიდმეტი) ფურცელი) გაეგზავნოთ ნატო იმერლიშვილსა (პირადი ნომერი 40001002410) და მაია კურტანიძეს (პირადი ნომერი 25001040585).
 5. დაინტერესებულ მხარეებს განემართოთ, რომ წარმოებაში არსებულ საკითხთან დაკავშირებით, უფლება აქვთ, გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინონ წერილობითი მოსაზრებები, მტკიცებულებები, შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნონ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობა აწარმოონ წარმომადგენლის მეშვეობით, განაცხადონ აცილება და ისარგებლონ დაინტერესებული მხარის უფლებებით, რაც გათვალისწინებულია მიმდინარე კანონმდებლობით.
 6. დაევალოს საჯარო რეესტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას წინამდებარე კორესპონდენციის საჯაროდ გამოცხადება ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე - თბილისის იუსტიციის სახლში (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. № 2), და სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორის საზოგადოებრივ ცენტრში საჯაროდ გამოცხადების შესახებ ინფორმაციის წერილობითი ფორმით წარმოდგენა.
 7. წინამდებარე კორესპონდენცია ასევე საჯაროდ გამოცხადდეს საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.napr.gov.ge.
 8. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მხარეთათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.
- წინამდებარე ადმინისტრაციული აქტი ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი  დავით დევიძე